ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7253664

ნომერი: AR11061221

თარიღი : 09.10.2024

გაცემის თარიღი : 17.10.2024

გაცნობის თარიღი : 18.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიანა ერაძე პ/ნ 01013023954
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 1 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 09 ოქტომბრის №AR11061221 განცხადებით მომართა ლიანა ერაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 08

ოქტომბრის №7243768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 ოქტომბრის №6718288 ბრძანებით №01.18.09.003.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ღია ამფითეატრისა და დამხმარე სათავსოს რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 19 ოქტომბრიდან 2024 წლის 29 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 02 აპრილის №6963411 და 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანებებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2023 წლის 19 ოქტომბრის №6718288 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 08 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 აპრილის ჩათვლით“.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2024 წლის 08 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 აპრილის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირდა „2024 წლის 08 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2024 წლის 01 ოქტომბრის №AR11059887 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 6 (ექვსი) თვეზე. შესაბამისად, 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 08 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 აპრილის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 08 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 აპრილის ჩათვლით.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 ოქტომბრის №6718288, 2024 წლის 02 აპრილის №6963411 და 2024 წლის 08 ოქტომბრის №7243768 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.